

შინაური საქმეები

№ 35

შანი მათი შაური

ქვეყნის ფასი საშა მან.

წელიწადი მეოთხე.

ქვეყნის — ქვირეული გაზეთი

კვირა, 30 ოქტომბერი 1911 წელი

ყოველ-კვირულ გაზეთ

შინაური საქმეები

თავი — კახეთის შესახებ № 17, და თბილისში გამოქვეყნდნ ქრამ-
ხის კაზარში, სომხონანდის შემს მდინარეში, გამოვა ყოველ თვეში ოთხი
ნომერი, მბ. ხელის მომწერლებს კახეთის გაზეთის ფ.ხი მრელი წლის
ერთად გამოგზავნი.

წლიურა ფასი: 3 მანეთი. მასიდან წლის ბოლომდის
ნახ. წლით: 2 მანეთი. 2 მანეთი და 10 შაური.

ადრესი: ქუთაისი: „შანური საქმეების“ რედაქცია.

შინაურნი: 1) დაკარგული დიდება; 2) კრიტიკა და
ბიბლიოგრაფია — ზომლელისა; 3) კვირიდამ-კვირამდე;
4) წაღმა-უკულმა (დასასრული) — კირილე წუთისოფლი
ლისა; 5) უცნაურს ფრინველს — ქაინოსრო გელფენისა;
6) Laudant eum opera ejus; 7) რას გვეწერენ?
კ.ისა; 8) ბერის ღღიურიდვან — ალექსი ბერისა.

დაკარგული დიდება.

(გაგრძელება*)

ნეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სხე-
დასხვა გარემოებათა გამო, საქართველომ და-
შკარვა თავის პოლიტიკური დამოუკიდებლობა
და თავისუფლად ჩაბარდა რუსეთს. ამის შემ-
დეგ ყოველივე უფლება საქართველოს მეფეე-
ბისა გადავიდა რუსეთის მეფეთა ხელში. რადგ-
ან საქართველოს მეფეები ივერიის ღვთისმშო-
ბლის მიძინების მოწასტრის მნათებად ითვლე-
ბოდენ, ამიტომ ეს სახელ-წოდება და მასთან
დამოკიდებული მზრუნველობაც გადავიდა რუს-
თა მეფეებზე. მაგრამ სხვა და სხვა გარემოებათა
მახვებით მათ ვერ გაუწიეს ამ მოწასტრის ის
მფარველობა, რომელსაც უწევდენ ქართველ
მეფეები. ამიტომ ქართველ-მოღვაწეთა რიცხვი
ძრიელ შემცირდა ათონზე. ამით ისარგებლეთ

*) იხ. „შან. საქ.“ № 33



ათონელმა ბერძნის ბერებმა და ნელნელა ჩაიგდეს ხელში მონასტრის მართვა-გამგეობა, შესცვალეს არსებული წესები და გამეფდნენ შიგ.

გასული საუკუნის მეოცე წელში, როცა თათრებმა ააოხრეს ათონი, ბერძნები, რომლებიც ასე გულადები არიან სუსტებთან ბრძოლაში, დასტოვეს ათონი, რადგან ვერ შესძლეს მახმადის შვილთ წინააღმდეგობა, საენეში დარჩნენ მხოლოდ ქართველი ბერები. ამათ დიდი გავლენა იქონიეს ყველაზე თავის მკაცრი ასკეტიური ცხოვრებით და მოაღბეს ისეთი მკაცრი მუხანათმს გულიც კი, როგორიც იყო დიბეტ ფაშა, თათრის ჯარის მხედროთ მთავარი, ტომით ქართველი, და მათ გადაარჩინეს ივერიის მონასტერი და ბევრი სხვ მონასტრებიც აოხრებას. შემდეგ როცა 1830 წ. ბერძენ-თათართა ომი გათავდა, ბერძნები ისევ დაბრუნდნენ ათონში, გაინაპარეს მცირე რიცხოვანი ქართველი ძმები და ხელახლა გამეფდნენ ივეროში, ჯერ საკრებულო ტაძარი დაიქარეს და ქართველებს მიცეს კლესია, სადაც ასვენია ივერიის ღვთის მშობლის სასწაულთ-მოქმედი ხატი, შემდეგ 1834 წ. აქედგანაც განდევნეს იგინი და დაიკავეს მთელი მონასტერი. ქართველები შეეფარნენ წმ. ილიას კელიას, სადაც ღებულობდნენ მცირეოდენ ნივთიერ შემწეობას თავის დედა მონასტრის შემოსავლისაგან და ასრულებდნენ წირვა ღოცვას კარიბჭის ღვთისმშობლის ტაძარში. ასე მიდიოდა საქმე 1861 წლამდის. ამ წელში გადაიკვალა დანარჩენ ოთხ ძმათაგან უფროსი მოღვაწე მ. ბენედიქტე და ქართველების მდგომარეობაც სულ გაფუჭდა. ბერძნებმა განდევნეს ქართველები ივეროდან, მოუსპეს საზრდო და გადასწყვიტეს აღარ შემოეშვან მონასტერში არც ესენი და არც ქართველი მლოცველები. მაგრამ ამით კიდევ არ დაკმაყოფილდნენ: ხელი მიჰყვეს ქართულ წარწერების მოსპობას და მათმაგიერ ბერძული წარწერები გააყეთეს. ბერძნებს არა თუ ივეროდან, ათონიდანაც კი უნდოდათ გაედევნათ ქართველები და ფიქრობდნენ შიმშილით ატყულებიან იგინი განშორებოდნენ ათონს.

ბერძნებისაგან ძლეულ ქართველებს სხვა ღონე აღარ ჰქონდათ, ახალი სავანე უნდა მოედებნათ და ღროებით თავი შეეფარებიათ, რასაც კდეც მიაღწიეს და რის მოთავეთაც გამოინდა აზნაური ვახტანგ ბარკალაია, დღეს ბერმონაზონი მოხუცი ბენედიქტე.

მამა ბენედიქტემ ჯერ ისევ ერისკაცობაში მოიარა ათონი, გაეცნო ქართველ მოღვაწეთა უნუგეშო მდგომარეობას და განიზრახა მათი თავის მოყრა ახალ სავანეში და შემდეგ თუ შესძლებდა, ივერიის მონასტრის დაბრუნებაც ერძენთაგან. ეს თავის განძრახვა მან გაუმჟღავნა განსვენებულ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომელმაც ძიელ მოუწონა და დაავალა კიდევ ეზრუნა ახალი სავანის გაშენებისათვის, რისთვისაც მან და მასთან ერთად გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და მეგრელი სამ ტარასი კონდაკი მისცეს მას და ნება დართეს შეწირულება შეეგროვებია ამ საქმიანათვის. დაიწყეს ფულის შეწირულებით შეგროვება და მარე 10—12 ათას მანეთს მოუყარე თავი. ამ ფულით და თორმეტი მიხანაგით, რომლებმაც ისურვეს ათონს სამოღვაწეთო წასვლა, უკვე ბერად აღკვეცილმა ბენედიქტემ გასწია ათონისაკენ.

დიდი განსაცდელი მოელოდათ ახლად ჩასულ ძმებს ათონში ბერძენთაგან. რადგან უკანასკნელეს აღრევე გადაწყვეტილი ჰქონდათ ათონში ქართველები არ ჩამოეშვათ, ამიტომ დიდათ გაუძნეღეს მათ ადგილის მიცემა. რის ვაი ვაგლახით ქართველებმა მოახერხეს და იყიდეს ბერძენთაგან საში ათას მანეთად იოანე ღვთისმეტყველის კელია თავის ძველი ნანგრევებით. ეს იოანე ნათლიმცემლის კელია წინეთ წარმოადგენდა მშვენიერ მონასტერს, სადაც მოღვაწეობდნენ ქართველი მამები და სადაც არსებობდა ქართული საღვთისმეტყველო სასწავლებელი. დროთა ვითარებისა და უყურადღებობის გამო იგი დაქცეულიყო და მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენდა. აქ დაბინა დენ ახლად ჩასულნი ქართველი ძმები და შეუდგნენ სავანის კეთებას. ბერძნებმა მხოლოდ ერთი კელიის იშენების ნება მისცეს, სადაც უნდა ეც

ხოვრათ არა უმეტეს საი კაცისა; ეკლესიის აგების და წირვა ლოცვის ნება არ ჰქონდათ. მხნე და შეუპოვარი ბენედიქტე ორმოცა ძმის სადგომების და გუმბათიან ეკლესიის შენებას შეუდგა. ბერძნებმა რამდენჯერმე დაუნგრის შენობები და ეკლესია, მოსტაცეს ზარები, არ მიჰყიდეს საშენებელი მასალა, მოუსპეს და გაუფუჭეს გზები; დაუტკიცეს წყაროები, არ მიჰყარეს მუშები, მაგრამ ქართველებმა მაინც თავისი გაიტანეს და მცირე ხნის განშავლობაში ააგეს მშვენიერი ტაძარი და გამართეს წირვალოცვა. ბერძნები დაწყარდენ, მაგრამ შური მაინც არ ამოჰლიათ გულიდგან და დღესაც მტრული თვალთა უყურებენ ქართველთა აღორძინებას ამ სავანეში, დღესაც ცდილობენ გააძეონ იგინი იქიდან და თვით ჩაიგდონ ხელში ეს ახალი სავანეც. ქართველი ძმებიც თავის მხრით მამა ბენედიქტეს მეთაურობით, რაც შეიძლება, ცდილობენ არ დაუთმონ ბერძნებს და ის ჩვენი ძველი დიდებაც დაიბრუნონ. მათი მეცადინეობით დღეს იმ ზომამდეა სჯემ მისული, რომ ბერძნები თითქმის იძულებულნი არიან შეუბრუნდნენ ქართველებს და აღგილი მისცენ მათ დედა მონასტერში, როგორც თანასწორებს.

საქიროა ქართველმა საზოგადოებამ ბელი შეუწყოს ამ საქმეს და იბრუნოს ჩქარა დაიბრუნოს თავის ძველი დიდება, რომელიც გარდა სამასი თუ ოთხასი ბერძნის ბერისა, კიდევ რამდენიმე შკოლას ინახავს თავის ხარჯით სხვა და სხვა ადგილებში საწყენი და სათაკილო როგორ არ არის, რომ ჩვენ საკუთრებას სხვა ხმარობდეს და ჩვენ გულხელ და კრეფილი შეგვყრებდეთ. კმარა აღდენი ძილი, დროა გავიღვიძოთ და მამა პაპის დანატოვარს მაინც მოუაროთ თუ ახლის შექმნა არ შეგვიძლია...

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.*)

თსზულებანი აჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მცირე ჩვენი საზოგადოებრივობა. ფასი 80 კ.

II

ბ არჩილ ჯორჯაძეს ამ მეორე წიგნის პირველ სტატიაში გავკრით აქვს ჩემზე ნათქვამი შემდეგი: „გ. წურეთლას გვერდით, თანდათან, ჩნდებიან სხვა მწერლებიც, რომელთაც შეაქვთ მწერლობაში ახალი მოტივები სოციალურ ცხოვრების განსამარტივად, ამ მხრივ საკუთრადღებოა რამდენიმედ ბ. ხომლელის წერილები, რომელიც სალიტერატურო ისტორიის კრიტიკოსად გამოდის „კვალის“ ფურცლებზე. ბ. ხომლელს, სხვათა შორის, არაფრად მიეჩნია ის საზოგადოებრივი მოძრაობა, „ნაროდნიკობა“, რომელზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წინა წერილებში“... მეტი ჩემი სტატიიდან მოაქვს ციტატა და ასე ამბობს: „ასე რომ ბ. ხომლელი ოთხმოცდაათ წლამდე ჩვენს ცხოვრებაში არავითარ ახალ მოძრაობას არა ხედავს“. ოთხმოცდაათ წლამდე, რომ წერს, ალბად, კორრექტურული შეცდომა თუ არის, თვარა, როგორ მოხდა, რომ ბ. არჩილ ჯორჯაძემ ჩემი სტატიები წაიკითხა და დაავიწყდა ის, რასაც ვამბობდი ქართველი ბერძნებზე: „ამ რიგად, დავასკვნენ მე ჩემი სტატია ლიბერალებზე, დიდი ფას-დაუდებელი სამსახური გაუწია ბატონ-ყმობის მოსპობის დროს ქართულმა ლიტერატურამ ჩვენს ქვეყანას, თუ არ მივლებთ მხედველობაში ეკონომიური ვითარების შესახებ იმ ლოდიკურს წინააღმდეგობას, დაუყვირებლობას, რომელიც უნებურად მოუვიდათ მაშინდელს მოღვაწეებს, ჩვენ დავინახავთ შემდეგს სანუგეშო სურათს. ძველი ცხოვრების შეწყვეთსათანავე, ქართველთა ერმა შესძლო და წამოაყენა თვისი საქიროების დაგვარად შესაფერი საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც აშკვენ ახალს, ფებ-ადგმულს ცხოვრებას, მასში ღრმად ჩაისტდეს და თან-და-თან, ნელ

*) იხ. „შინ. საქ.“ № 34.

ნელა შეენეს შინაარსიანი ლიტერატურა, დიდად საყურადღებო თავისებური ხასიათი დაზინეს ლირიკულს პოეზიას, შეამუშავეს საქეცნიერო, მოწიფული ლიტერატურის შესფერი საუბარი, მოჰმუნეს ქვეყანას ნათელი და პატიოსანი აზრები და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც დასახეს პროგრამა სამოქალაქო დედა აზრებისა და მოღვაწეობისა“...

ამ სიტყვების შემდეგ, ახალ მოძრაობას მე თუ არა ვხედავ ჩვენს ცხოვრებაში, აბა, სხვა ეინ უნდა ხედავდეს, აღარ მესმის. ლიბერალების ღვაწლი დიდი ღვაწლია ქართველთათვის და ამის მსგავსი ჯერ არაფერი მომხდარა ჩვენს ცხოვრებაში. თუ რამე კია ჩვენში გაკეთებული, იმათი მეოხებით არის გაკეთებული. ჩვენ მხოლოდ ვაგრძელებთ და ვაწარმოებთ იმათ დაწესებულ და გაკეთებულ საქმეებს და ახალი რომ მათსავით არაფერი გავიკეთებია ჯერ-ჯერობით.

„არავითარი ახალი თაობა არ იცის ჩვენმა ცხოვრებამ ჯერ“ მეთქი, რომ ვამბობ იმ წერილში, ეს ძველი თაობის, ე. ი., ლიბერალების ღვაწლის უარის ყოფა კი არ არის, აზამედ „ტრეტიათა მოტრფიალეთა“, რომელთაც ჩვენ თურნალ-გაზეთებში „ახალ-თაობას“ ეძახდენ ისეთ ყმაწვილკაცებს, რომელნიც უარს ყოფდენ გაევროპილებას, ხელოვნებას, მეცნიერებას, მრეწველობას, ახალ ახალ მანქანებს და იარაღებს, დიდ დიდ საერო სიმდიდრეს და მაღალ კულტურას. სამაგიეროთ მიეყავით, იცით, სად? სოფლად, ტრეტიბთან, რომ იქ, იმათგან გვესწავლა ჭკუა და გვემწყესა ღორები და ცხვრები...“

ასეთს ყმაწვილებს მე თაობას ვერ ვუწოდებდი, რადგან თაობა სულ სხვანაირად მესმის და განმარტებულიც მაქვს იმ წერილში ეს სიტყვაც სწორედ ისე, როგორც უნდა გვესმოდეს და წარა-მარად, უგანაჩენოდ არა ვხმარობდეთ მას.

„ტრეტიათა მოტრფიალენი“ იყენ წმინდა წყლის რეაქციონერნი, შედარებით, ნ.ო-იან წლების ლიბერალებთან და ნიკოლაძის ჯგუფ-

თანაც ხო! რასაკვირველია. ისინი სულ უკან წყვილიდისკენ წწოდენ ჩვენ ცხოვრებას სოფელში მიპატიებით, რადგან არა სწამდათ ეკონომიურად გაწოდლული ევროპული გზა, ევროპიულ პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე სჯა-ბაას გულ-ლიად დასცინოდენ, „ჩვენ რა გვედარვ ნ-ბოკლებო“, ე. ი., რად გვინდა მეცნიერებო, როცა კუქი შემშილით გვეწვი-სო და სხვა, რაც მე უკვე დავამტყიცე ჩემს სტატიებში და ეს აზრი პირველად მე გავარკვეე ქართულს ლიტერატურაში, რაზედაც უნდა შეეჩერებია მკითხველის ყურადღება ბ. არჩილ ჯორჯაძეს. მაგრამ, რაღაც მიზეზისა გამო, ეს მას არ უნებებია და ტრეტიათა მოტრფიალეთა „ნაშრომებში“ ეძიებს რაღაც ახალს გზას, რომელსაც დაკავშირებია XX ს. უკუნის დასაწყისს გამოსული ახალი დასი. იტნება მას სახეში ის დასი ყავს, რომელსაც თვითონ ეკუთვნის? მე ეს არა მჯერა. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშ შორს წასულა ეს დასიც სოციალურკითხვების გადაწყვეტაში და გზა დაგვილოცნია იმისთვისაც...“

ადვილად შესაძლებელია, ბ. არჩილ ჯორჯაძე, როგორც კეთილი, სათნო და პატიოსანი გულის პატრონი, „ტრეტიათა მოტრფიალეთა“ აშკარა დემოკრატიზამ მოხიბლა და, სწორედ ამიტომაც, იგი უკავშირებს იმათ თვის დასს? მაგრამ გავკადნიერდებო და აქვე მოვახსენებ მას, რომ იმ ჯგუფის დემოკრატიზამ მე არა მწამს, რომელი ჯგუფიც, გინდა პოლიტიკური პარტია დროთა ბრუნვას არ მიყვება, უარსყოფს ევროპიულ აზრთა განვითარებას, კაცობრიობის წინმსველლობის პროცესს არ უწევს ანგარიშს დიდის მღვიძარებით და ეწერგით, თვის ქეყნის შინაური ცხოვრების ტრიადის არ უთანხმებს პროგრესიულ ვითარების გარდაქმნას. იმისი დემოკრატიზამ ქეშმარიტად ფრიად საშიშარია და დიდ უბედურობასაც უქადის ქვეყანას ამისთანა დემოკრატიზამ... ნუ, ნუ მიეკედლებით, ბატ. არჩილ, ნურც თქვენ და ნურც თქვენი დასი ამისთანა „დემოკრატიზამ“. ეს ჩემი გულწრფელი სურვილი და რჩევაა...“

ბ. არჩილ ჯორჯაძე წერს: „ბ. ხომლე-
ლის აზრით, ახალი თაობა მხოლოდ მის დრო-
ში გაჩენილა“ და ჩემი სტატიიდან მოაქვს
ციტატა, საიდანაც სრულებითაც არა ჩანს ის,
რომ ვითომც „ახალი თაობა ჩემს დროში“ გა-
ჩენილიყოს. მოტანილი ციტატიდან მხოლოდ
ის მტკიცდება, რომ ჩემს სტატიიში დასხუღე-
ბული მიზეზების წყალობით, ეკონომიური ყო-
ფა ჩვენი ერისა სრულიად შეიცვალა, წინ წა-
ვიდა და საქართველოში, ვისაც კი აჩნდა სი-
ცოცხლასა, სიფხიზლისა და ნიკის ნასახი,
ყველა „გავერობიელების“ გზას დაადგა მეთქი.
მაგრამ, დამეთანხმებით, რომ ეს კიდევ არ ნიშ-
ნავს ახალთაობის გაჩენას ლიტერატურაში,
რომელიც არის საგანი იმ ჩემი წერილებისა.

მე ჩემს წერილებში, მგონი, გარკვევი-
თაც მაქვს ნათქვამი, თუ რას ვეძახა თაობას.
ძველი თაობა, ე. ი. ჩვენი ქვეყნის ლიბერა-
ლობა წარმოადგენდა ევროპის დიდად განა-
თლებულს და დაბრძენებულს ლიბერალთა
საპოლიტიკო პროგრამის სახეს. მაგრამ უარს
ყოფდა ევროპის ეკონომიურს ვითარებას და
თავიანთი წარმტაც პროზისა თუ ლექსთა სა-
შვალდებით სოფელელთა ცხოვრებას გვიხატა-
და და იქაურს მესაკუთრეთა სადა ყოფას
შეხაროდა.

ერთად ერთმა ნიკოლოზ ნიკოლაძემ შე-
იგნო ჩვენი ქვეყნის დიდი საამდროვო მოთ-
ხოვნილება, აყვა დროთა ბრუნვას, ჩვენშიაც
და რუსეთშიაც დაიწყო მეტად ვაბეღული ქა-
დაგება, რომ ქვეყანა, მიუცილებლად, ეკონო-
მიურადაც უნდა გავევრობიედესო და ამისთვის
იდევნებოდა იგი ჩვენშიაც და რუსეთშიაც
თითქმის ყველა დასებისაგან...

შემდეგი დასი „ტეტიათა მოტრფიალენი“
იყვენ, მაგრამ ესენი, როგორც მოგახსენეთ,
უარს ყოფდენ ჩვენი ქვეყნის გავევრობიელებას
პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც. შემ-
დეგ კი დასები, იცოცხლეთ ქაბა სოკოსავით
გაჩნდნენ და მოედევნ ჩვენს გასაწყობებულს
ქვეყანას, მაგრამ ამით ქართული ნორჩი ლი-
ტერატურა გაამდიდრეს კი არა, სულერთთა-
ნად წაიღვეს ისე, როგორც სოფელად გლეხე-

ბმა ცეცხლს მისცეს წვითა და დაგვიტ აშე-
ნებული სკოლები...

მაგრამ ეს ხომ აგრეწოდებული „ერთო-
ბის“ დრო გახლდათ და მე კი გულდამწვარი
დღესაც ახალთაობას მესიასავით მოველი, რო-
მელიც ლიტერატურაში მხურვალედ მოათ-
ხოვს სრულს და ქეშმარიტს ევროპიულ მოქა-
ლაქობრივს და თანასწორობის იდეის განხორ-
ცილებას და ამას იგი გულწრფელად დაუწ-
ყებს სამსახურს ქვეყნის და ერის სახსნელად
და სადღეგრძელოთ...

ხომლელი.

დასასრული იქნება.

კვირიდამ-კვირამდე.

30 ოქტომბერს მისმა მეუღლემ აკურთხა
სოფ. საღვინის ეკლესია (შორაპნის მაზრაში)
და დაიწყო შორაპნის საბლალოჩინო ეკლესი-
ების რევიზია.

29 ოქტომბერს გორში მოკლეს პატრი-
დომინიკ პაწაძე. განსვენებული მოღვაწე კა-
ცი იყო. სხვათა შორის სოფ. სკრაში მან იყი-
და მამული და დაასახლა ხაზამბარელი უმიწა-
წყლო გლეხები. ქუთათურებიც იცნობენ ამ
პატივცემულ პირს. ეს ის პატრია, რომელმაც
განსვენებულ პატრ მიხეილ თამარაშვილის სუ-
ლის მოსახსენებლათ ქუთაისის კათოლიკეთა
ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი გადაიხადა და
შესაფერი გრძნობიერი სიტყვაც სთქვა *) გან-
სვენებულმა გულით და სულით სამშობლოს
მოყვარული კაცი იყო. საუკუნოდ იყოს მი-
სი ხსენება...

*) ეს სიტყვა ნახევარი „შინ. საქ.“ № 32 დაი-
ბეჭდა და ნახევარიც ამ ნომერში იბეჭდება.


რედ.

იმერეთის სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშნა ისევ დეგ იოსებ ჭეიშვილ.

თანახმად ექსარხოზის შეამდგომლობისა იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლების მეფალეურეთ დანიშნა გადმოღმა კავასიის რკინის გზის კონტროლის კონტროლიორის თანაშემწე, კანდიდატი წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტისა, კოლლეგსკი ასისტორი ბანი ვლადიმერ ავერკიევი.

რედაქციას ეკითხებიან, თუ როდისთვის არის დანიშნული საეპარქიო კრება. რედაქციას ამის შესახებ არავითარი ცნობა არ აქვს და როგორც სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყვეთ ჯერ არც შედგომიან ამ საკითხის გამოკვლევას.

სამღვდელოების კრედიტი უკვე გიხსნა.



წალმა-უკულმა.*

(დასასრული)

მეტად თავზარ დამცემი ამბავი ჩამოუტანა იორდანეს ტელეგრაფმა ქუთაისში. კოლქმარი თავდავიწყებამდე შეიპყრო მწუხარებამ და საბუთიკ ჭონდათ ამისა: მათი იმედი, მათი სასოება, მათი ნუგეში შვილი და სიძე,—ერთი უკვე მკვდარი იყო და მეორე ციხეში განისვენებდა დიდი დამნაშაობისათვის... როცა მათ ძალა მოიკრიბეს, გაუდგნენ ქალაქ № საკენ. მგზავრობა მათი საზარელი იყო: შეუბრძელი ცრემლები, ნაკადულივით მოსლიოდით თვალთაგან და სასოწარკვეთილებაში ჩაფარდნილიყვნენ... თანამგზავრები ნუგეშს აღლევდენ უბედურებს, მაგრამ რითი შეიძლებაოდა მათი ნუგეშისცემა?... კოლქმარმა, როცა

ს ძე მოიტირეს, ღიზას ნახვა მოინდომეს, მაგრამ ამოდ—ნებართვა ვერ აიღეს. იორდანე აშკარად ამბობდა: „რათ მიშლით შვილის ნახვას; იმიტომ კი არ მინდა ვნახო, რომ რამე ნუგეში მივცე, ან შემწეობა დაგპირდე; მინდა გევიგო, ნამდვილად დამნაშავე არის თუ არა და თუ დამნაშავეა, არ ვითხოვ კაცის მკვლელის განთავისუფლებასო“, მაგრამ გამგონე არავინ იყო. „თავს ნუ იწუხებთ,—მკვანეთ უთხრა ახალგაზდა გამომძიებელმა,—უთქვენოთაც გავიგებთ საქმის სინამდვილეს; ესეც არ იყოს, თქვენი შვილის თხოვნა მაქვს, რომ არავინ ნათესავთაგანი არ დაუშვა იმის სანახავად“. იორდანე დატრიალდა ვექილებთან, მაგრამ წყურვილი ვერც აქ დაიკმაყოფილა. „ჯერ გამოძიება არ ვათავებულა, არ ვიცი თუ საქმე რა მიმართულებას მიიღებს და იმიტომ ვერას შეგპირდებიო“, ეუბნებოდენ ვექილები. რა აქაც ვერაფერი გააწყო იორდანემ, ის შეუდგა კერძო ცნობების შეკრებას, საიდანაც მტკიცედ დარწმუნდა, რომ ღიზა დამნაშავე იყო ქმრის მოწამლევაში... იორდანე მართლაც არ ატყუებდა გამომძიებელს. ღიზა რომ ენახა და ეთქვა: „დამნაშავე ვარო“, — ის იმ წამში ისეთს გუნებაზე იდგა, რომ გამობრუნდებოდა და ეტყოდა გამომძიებელს, რაღა ბევრ ქალაქსა და მეღანს ხარჯავთ, დამნაშავე ყოფილა, მიუსაჯეთ, რაც ეკუთვნოდავსო... იორდანემ მოიხოცა ცრემლები, მოიგლიჯა სიძის სამგლოვიარო შავებიც და მიუბრუნდა კოლს: „აკერ შევაბერდით ერთმანეთს და ერთიკ რას ქვია, საწყენი ჩემგან არ შეგხვედროი; დღეს თუ არ გინდა, რომ საწყენი შეგხვედეს, უნდა დამიჯერო, რომ შენს თვალბზე ცრემლები არ უნდა ენახო და შავებიც ხელათ დაყარე... უღვთო ყოფილა ჩვენი სიძე, იგივე ჩოღუნონებია კოლისთვის და ახია, რაც დამართნიათ... არ თქვა, ოდესმე შვილი და სიძე მყოლიაო“. კოლმა მოუსმინა ქმარს ეს ფიცხი ბრძანება და უნდოდა ექთვა: „ხომ არ გადარეულხარ, ჩემო თავო, რას ამბობ, ასე ვის მოუძულებია შვილი, ეს ვისმა გულმა უნდა მოითმინოსო? მაგრამ არ ეწინააღმდეგა, შხამ-

* იხ. „შინ. საქ.“ № 34.

ზე ნაღველი არ დასხა, გაუგონა ქმარს და შეასრულა მისი ნება... ის ნა მალე გამობრუნდნენ ქუთაისშივე. თუმცა გულმოსული იორდანე თავდაპირველად გაყინიანებული მშობდა, რომ ღიზას სახელს არ ვახსენებო, მაგრამ რამდენად დრო და უამბო გადიოდა, იმდენად უფრო უღბებოდა გული და ერთად-ერთი შვილის უპატრონოთ ტანჯვით ესპობოდა ყოველგვარი ხალისი ცხოვრებისა. ცოლიც ყოველ წამ იმას ჩასჩინებდა, რომ უსჯულო ვინმეც არ იზამდა შვილის ასე გამეტებას. გარდა ამისა ქრისტინა ავალეზბდა იორდანესთან დაახლოვებულ პირებს, რომ ერჩიათ, შვილისათვის პატრონობის გაწევა... იორდანემოლბა, მოტყუა და კარგა ძალი გზის ხარჯი უფლით გაგზავნა ერთი ცნობილი ვეჭილი, რომ გავფო თუ როგორ მიდიოდა საქმე. სამი-ოთხი დღის შემდეგ, ვეჭილმა მოიტანა ამბავი, რომ თუ არა დიდ-ძალი ქრთამით, საქმეს არაფერი ეშველებოდა, რადგანაც, შეკრებილი აქრობებით, ლიზა სრულიად მტყუნდებოდა... იორდანე დატრიალდა და სთხოვა ხელის გამართვა მოყვრებს, მეგობრებს და მეზობლებს, და თუმცა უარი არავის უთქვამს, მაგრამ საჭირო ფულებს შაინც ვერ მოუყარა თავი... რა ვერსაიდან ვერაფერი გააწყო, სოფლის მამულის გაყიდვა ვადასწყვიტა... რა ოხრათ მიწა მამული, როცა უბედურება ვარზე მიდგას? თუ ღიზას ხსნა არ შეიძლება, უკეთესია მთხოვრობით ვიცხოვრო; ეს წერებულა ჩემს პედზე და ვის რა უნდა დავაბრალოვო? — სთქვა მან და მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება ვადასცა ერთს მდიდარ ვაჭარს, რომელიც, კარგად იცნობდა იორდანეს მამულს. იორდანემ აიღო საჭირო ფული და საქმის წარმოება მიანლო იმ ვეჭილს, რომელიც ქრთამზე აყარებდა ხსნას. ვეჭილმა ჩაიბარა როგორც თავისი ხვედრი, ისე საქრთამოდ დასახარჯავი ფულიც და იორდანე კი დარჩა მხოლოდ ერთი დუქნის იმედით, სადაც ვაჭრობდა და კიდევ სკანოვრობდა.

ლიზა გამოფხიზლდა, როგორც ღრმა ძილისაგან გამოღვიძებული ადამიანი... მისი

მდგომარეობა მოგაგონებდათ მჯგოპარეობას იმ პატიოსანი და ღირსება-შეუღლახავი ახალგაზდა კაცისას, რომელიც უცაბედად, ამხანაგების ხათრით, თავდავიწყებამდე დაათვრეს, მას შემდეგ მისდა უნებურად ჩაადენიეს ჩხუბი, ლანძღვა-გიწება, დამცირება და ყოველგვარი სისამაღლე; რომელსაც გამოფხიზლების, შემდეგ შესძულეზობა თავი და განუზრახავს სასტიკად დასჯა თავისი თავისა... წარმოუდგენელი იყო ღიზას მდგომარეობა... რამდენიმე საათის წინეთ მას სძულდა კოლია, სძულდა სასტიკად და ახლა კი ორჯერ მეტად შესძულდა თავს საკუთარი თავი. მან თავზე ხელის აღებაც მოისურვა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც ამისთვის არავითარი იარაღი არ გააჩნდა ოთხ კედელ შუა მჯდომ სუსტ არსებას. ის, ერთადერთი იმყოფებოდა ისეთს ოთახში, რომელიც დამღვარისათვის დაბალი იყო და დაწოლილი-სათვის აკლეს. პირველი ღამე მთელ საუკუნედ მოეჩვენა; ის უსაზღვრო ფიქრებმა გაიტაცეს და გამორეტანებული თვალებით, უაზროდ გაიხედებოდა ოთახის ბნელ კუთხეებში. მის არეულ ფიქრებში, მას ეხატებოდა თავისი თავი ჯალათად, უღბოროტეს ეშმაკად; მის თვალწინ ჯაჯოხეთი ვადაშლილიყო, მთელი თავისი საზარელი სურათით... მეორე დღიას ღიზა მოითხოვა გამოძიებელმა. ის გამოაფხიზლეს და ვადაგებეს, რომ ჩვენება უნდა მიეცა გამოძიებლისათვის, გული მოუკვდა, თვლები დაუბნელდა და მთელი ტანი აუძაგდაგდა. მას ეშინოდა, მაგრამ თვითონაც არ იყო და რისი ეშინოდა, ან რისთვის უცემდა მძლავრად გული. იქნება ის იყო მიზეზი, რომ მას გაამტყუნებდნენ და სასტიკად დასჯიდნენ? არა, ეს არ იყო, მას სასჯელის არ ეშინოდა; პირიქით, თვით უსასტიკესი სასჯელი მისთვის მალამო იყო და რაც აქაპარებით, გამოუძიებლად სასჯელს მიიღებდა, მით სააშური, მით სანატრელი იყო მისთვის... მას ეშინოდა თავის მართლებასა. ის უნდა წამღვარიყო მთავრობის წინაშე, მოეგონებოდა ის საზარელი სურათი, რაც მან ფერად-ფერადი წამლებით ვადაქანდაცა და თავის პირით უნდა ეთქვა მის

მეგრე შექმნილი ტრადიციული მოთხრობა...
 ან, უნდა გადავფიქროთ, რომ ის ცამდე მართალი იყო ამ საქმეში, და სწორედ ეს უკლავდა მას გულს. ლიზასთვის ასარჩევად რომ მიეცათ ამ წამში, ის ჩვენების მიცემაზე უარს იცხადებდა და უფრო სიხარულით საღიზიანებლად ბაწარში გაუყრიდა თავს... როცა ლიზა წარადგინეს გამოძიებელთან, მან გადასწყვიტა გამოტყუებოდა, თქვა, რომ ის დამნაშავე იყო, მაგრამ როცა გამოძიებელი შეეკითხა, უარი განაცხადა. მას წარმოუდგა აზრი, რომ როცა ის გამოტყუებოდა, შეიძლებოდა გარეშე პირებიც გაეჩვიოდა საქმეში, რაც მას არ ჰსურდა; მას უნდოდა დამნაშაობა თვითონ ეყისრა და ამას მოეჭიკრება სკირობა... სულიერი მდგომარეობა და გარემოება და გარეგანი ნიშნები ცხადად ამტკიცებდნენ, რომ მას სვინიდიის წმინდა არ ჰქონდა, რაც გამოძიებელს არ გამოჰპარვია... გამოძიებელმა თავის დაჯერებაც გაატარა ოქმში. გამოძიებელი არ ჩქარობდა საქმის ხელიდან მოშორებას. მას ლიზა, მეტად საწყალ და გულ-ჩვილ ადამიანად წარმოუდგა და მასთანავე, ცხადი იყო მისთვის, რომ ის დამოუკიდებლად ვერ აწარმოებდა ასეთს დიდს დამნაშაობას. მას უნდოდა გაეგება მანქანი ის პატივი, რომელნიც ხელს უწყობდნენ ლიზას ამ დანაშაულობაში. მან, ლიზას მოსამსახურე გოგოს დაკითხვით აიღო კვალი, რომელსაც ის კარგა შორს გაჰყვა, შეჭკრიბა ცნობები და მაგრად გაახვიდა საქმეში საღიზიანა და ვანო.

იორდანეს ვეკილმა მოინდომა სათავეიდანვე მიეცა საქმისთვის კაი მიმდინარეობა და ამ განზრახვით დაახლოვებით გაიცნო გამოძიებელი. ვეკილს და გამოძიებელს ხშირად უხდებოდათ ერთად მუსაფი და სეირნობა და ხშირადაც პატიყულა პირველი უკანასკნელს სადილად და სხვა თავშესაქცევ ადგილებში, მაგრამ გამოძიებელი ყოველთვის ზრდალობიანი უარით ისტუმრებდა ვეკილს. გამოძიებელი, თუმცა ძალიან უბრალო ადამიანად მოეჩვენებოდა კაცს, მაგრამ მას ყოველთვის თავი ისე ეჭირა, რომ არ შეიძლებოდა, ვინმე ისე გათამამებულიყო, რომ მისთვის ქრთამი

შეეძლია. ის ღარიბი დედ-მამის შვილი იყო და მარტო ჯამაგირით სცხოვრობდა თავისი წვრილი ცოლ-შვილით, რის გამო, ხშირად ითმენდა საჭიროებას ფულში, მაგრამ რაც არ ხვდებოდა, იმას მაინც არ იღებდა. ვეკილს იმედები გაუტრუვდა: მან ვერ გაბედა, რომ შევაქრებოდა გამოძიებელს და ვერც აღმოაჩინა ისეთი პირი, რომელსაც თავზე მიედისი წადილის შესრულება, და ბოლოს იხმარა ხერხი და ერთ საღამოს დაპატიჟა ქალღმინის სათამაშოდ... გამოძიებელს უკვირდა, რომ ვეკილი ოხრად აგებდა ფულს, მაგრამ ვეკილი მაინც თავისას არ იშლიდა და მოკლე ხანში ხუთასი მანეთი წააგო. იმ დამეს, გამხიარულე-ბულმა გამოძიებელმა, უფრო მხიარული ვეკილი ეახმამზე დაპატიჟა, სადაც სხვათა შორის, ვეკილმა ლიზას უდანი-შაულობაზედაც ჩამოაგდო ლაპარაკი, მაგრამ გამოძიებელმა რამდენიმე სიტყვით მოსპო ამაზე სჯა. ამ ხერხს ვეკილისათვის თითქმის არაფერი უშეგლია და გამოძიებაც დამთავრდა სრულიად დაუმახინჯებლად.

ლიზას მდგომარეობა მეტად უნუგეშო იყო. გარდა იმისა, რომ მას სტანჯავდა საკუთარი სვინიდიის, სტანჯავდა ისიც, რომ ის შეზიზღებოდათ თვით ტუსაღებსაც და მანუ-გეშებელი არაეინ ჰყავდა. მშობლების ნახვას, მათს ტირილ-გოდებას და მწუხარებას ლიზას დასერილ გულზე მანუგეშებელი კვალი არ დამჩნევია; პირაქით, ამან უფრო მეტი მღელვარება შეჰმატა, ისედაც ძალზე დაბეჩავებულ ადამიანს... ერთად-ერთი ნუგეში მისი ანლა სიკვდილი იყო, რომელიც თვით განთავისუფლებაზე უფრო დააამებდა მას წყლულებს, მაგრამ საღიზიანო სიკვდილი? არც ის ინდობდა ლიზას, თითქო ისიც განაწყინებული ყოფილიყო ლიზას საქციელით. - სიკვდილი არ მოდიოდა ლიზასთან, მაგრამ ლიზამ კი გადასწყვიტა თვითონ შეჭვებოდა მას, ამის გამო განიგულა სიმშოლ-წყურვილით მოეუძღურებია თავი. პირველ სამ-ოთხ დღეს მას თითქმის არაფერი უსვამს, უჭამია და შემდეგშიაც, დღეში თითო-ორიოლა ლუკმით კმაყოფილდებოდა; ძი-

ლის ნებას თავს არ აძლევდა და უკეთ რომ ვსთქვით, არც ეძინებოდა. გარდა ამისა, ის მთელის არსებით სევდებს მინებდა და მთვან თავის დაღწევას სრულიადაც არ ჰფიქრობდა; მთელ ღღეს ტირილით ალაპებდა და ამავე ყოფით ათენებდა ღამეს. მხოლოდ ხან-და-ხან თავზარდაცემული ფრთხილად დაიჩოქებდა სალოცავად და ისიც, თითქო ეშინიაო, რომ არ დასძახოს ვინმემ ზევიდან: „ბოროტო და უსირცხვო ადამიანო! როგორ ბედავ ლოცვას და ღვთის სახელის ხსენებას?... ტყულად თავს ნუ ილაღავ, შენსას არას მოისმენს ღმერთიო“. ამის გამო, რამდენაღ უიმედოდ ლოცულობდა ღიზა, იმდენად უფერული და უნუგეშო იყო თვით ლოცვაც. ერთი რომ ეთქვათ მისთვის: „ნუ გეშინია ღიზა! შენ არ იყავი წასახდენი ქალი, მაგრამ ცხოვრებამ ჩაგაყენა გლახა პირობებში... შენ არა ხარ დამნაშავე; შეგიძლია პირ-ნათლად ილაცო და კიდევ მოგისმენს შრავალ-მოწყალე ღმერთიო“, — შესაძლებელი იყო ღიზას, მეტანიის დროს, შუბლი იატაკზე დაეტეხა, მაგრამ ის თვით პირჯვრის წერასაც დამნაშაობად სთვლიდა და ამის გამო არც იმისი ხათრი ჰქონდა... რა წამს ის სალოცავად მოიკლიდა, მაშინვე საწამლავი მოაგონდებოდა, აღელვდებოდა, სახეზე ხელს მიიფარებდა და მანამ იტრებდა, სანამ თვალებში ცრემლები არ გაუშრებოდა... ერთის სიტყვით, ის მთელის არსებით მოიშალა, დაეცა; დაეცა სულით და ხორციითაც და ახლოს იყო ის დროც, რომ ღიზას უკანასკნელი ღონეც გამოსცდოდა ხელიდან... ცოტა კიდევ და ის ჩავარდა ლოგინად. ეჭიმებმა ღიზას ავადმყოფობა ტვინის ანთებათ სცნეს და კიდევ გადაიყვანეს საავადმყოფოში. უბედური მშობლები თავს დასტრიალებდნენ ღიზას და კერძო საჩუქრებსაც უნიშნავდნენ ეჭიმებს, რომ მათ მხოლოდ მოვალეობისათვის, უგულოთ არ ეწამლათ ღიზასთვის... ეჭიმების შრომა-მეცადინეობა დარჩა ამაოდ და ერთ მშვენიერ სადამოს ღიზამ საუკუნოდ დაჰხუჭა თვალები.

ყოველ-მხრივ იმედ დაკარგულ იორდა-

ნეს მხოლოდ ერთი გზა დარჩენოდა: უნდა აეღო ნებართვა და გაესვენებია თავის უკანასკნელი ნუგეში სოფლად, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ფული, რაც მას არ გააჩნდა. იცოდა მან, რომ გადატაკებულ იორდანეს სესხად ფულს არაიქნენ ენდობოდა და ამიტომ, ამ ცდაში შრომა არ მიუღია, მან ის ერთად-ერთი დუქანიც დააგირავა, რომელიც დღიურ ლუკმას აძლევდა და საჭირო სახარჯოც აიღო...

ერთ დღიას, ძვირფასად მორთული ღიზას კუბო შეასვენეს, კიპაროსის შტოებით და სხვა ყვავილებით მორთულ ვაგონში, რომელიც მატარებელმა გამოაქანა დასავლეთისკენ. კუბოს აქეთ-იქით უსხდნენ სიცოცხლე გამწარებულნი მოხუცნი, რომელნიც მოასვენებდნენ მათს გაცრუებულს იმედს თავის სამშობლოში, სადაც, ერთ დროს მდიდარ მემამულეთ, გარდა სასაფლაოსა, კერძო საკუთრება არა დარჩენოდათ-რა.

კირილე წუთისთფლელი

შინაურს შრინჯელს.

(ეუძღვნი ბ-ნს გ...ს.)

რა ვქნა, არ მომწონს შენი გალობა, იგი არა ჰგავს ჩემ ბულბულისას; მისთვის შენი ხმა ვერ ააუღერებს მკმუნვარე სიმებს ჩემი გულისას.

რა ვქნა არ მესმის რა აზრებს ჰგალობ რა ჯურისაა ეგ შენი მცნება! კმარა გამშორდი ღვთის გულისათვის არ გამაგონო კვლავ შენი სტვენა.

რად მინდა შენი ქუჰქუჰ-ქუჰურტული როცა მე თვით მყავს ჩემი ბულბული, იგი გვიგალობს ზეციურს ჰანგებს და მით მიტკბება სმენა და სული.

ვიცი რაცა გსურს... მაგრამ სტყუვლები მაგ ხერხით მიზანს შენ ვერ მისწვდები,

მღვთაების კანონს ვერც აღვილად რომ ვერ დაარღვევ ბოლოს მიხედვით...

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა .

ალაო მიყვარს ვინც მიყვარდა მიყვარს ეხლა ვინც რომ მძულდა, არ მინდა ის რას სიყრმიდამ ვნატობდი და გულით მსურდა.

იმიტომ რომ ვინც მიყვარდა მოსასპობლად არ დამშურა; ვინც რომ მძულდა მომეშველა მისხნა ღონე არ დამშურა.

გუნდრუკს უკმეფ ვისაც ღღემდის „ანითემა“-ს ვუგალობდი, თაყვანსა ვსცემ ვით სიმბოლოს რასაც ღღემდის გულით ვგმობდი...

ვ ე ზ რ მ ბ ა .

ღმერთო! გვიხსენ ეშმაკისგან მოგვივლინე კვლავ შენი ძე, რომ თავი დამ მოგვაშოროს ანტი ქრისტიე მაცთური ძე.

ღმერთო! დროა გადმოგვხედო შეტრალების გრძობით ჩვენი, მოგვივლინო მაცხოვარი რომ მოგვამადლოს აზრი ზენი.

ღიან, ღროა გვიპატრონო მოგვივლინო კვლავ შენი ძე, რომ დაგვიცვას თალუზვისგან მისგან ხსნილი აღამის ძე...

ქაიხასრო გელავანი.

Laudant eum opera ejus.

„საქმენი მისნი აღიდებენ მას.“

(დასასრული *).

ამ სასაღ აღსაჯადს მოქვეა სახადი მადლი გრძნობა და დაუბრეტელი სურფალი მადლი გა-

*) იხ. „ზინ. საზმ.“ № 33. ეს სიტყვა წარმო- სტქვა პატრმა ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში მიხე- ილ თამარაშვილის სულის მოსახსენებელ პანაშვილის წინ.

ნათლების მიღებისა. 1888 წელს გაგზავნილ იქმ- ნა საფრანგეთში, ჰარიუში, სადაც მან ორი წელი- წადი დაჰყო. იქ მიხეილმა შეივსა საღვთისმეტყვე- ლთ საგნები და საფუძვლიანათ შეისწავლა ფრან- გული ენა და შემდეგში გამოგზავნილ იქმნა სა- ქართველოში, თავის საუვარელ სამშობლოში. მაგ- რამ რადგან სომეხ-კათოლიკეთა და ქართველ კა- თოლიკეთა შორის გამწვავებულიყო ნაცონანდური საკითხი და ჩვენი უაგებატონნი მეზობლნი სომეხ კათოლიკენი უარს ჰყოფდნენ და სხვასაც აფერებ- დნენ არ არსებობაში ქართველთ კათოლიკებისა სა- ქართველოში, ამას დიდი უურადლება მიაქცია მისკილ თამარაშვილმა; თავის თავს ეკითხებოდა, რომ ნუთუ აღამიანის ცბიერობა იქამდის უნდა მი- სულიყო, რომ სადაც თუთარის სათქმელი იყო, იქ უნდა ბრტატებით შავი ეთქვათ. აი სწორეთ ამ დროს მისეილ თემარაშვილმა გადასწყვიტა, რომ გამოსაჩნდებოდა თავის თანამემამულე ქართველ კათოლიკეებს. მაგრამ მას სწავლა კრდეუ სწურო- და ამ მიზნით საქართველოდგან მსუფ დაბრუნდა 1891 წ. რომში.

თამარაშვილი შევიდა სასულიერო რომის უმაღლეს სასწავლებელში, კარგის პირველ, ქებით და დეთის მეტყველების დოქტორის სარისხით დავითარა სწავდა. ამავე დროს თამარაშვილმა გ- მთებებს ქართველ კათოლიკეთა არსებობის საბუთ- ნი აღმოაჩინა და შეკრიბა უტუუარა ძვირფასი მა- სადები ქართველთ მეუეთა მღვდელთ-მთავართა მი- წერ-მთაწერანი, რაც ეი საქართველოდან რომის მა- ჰების კარდინლების და სელმწიფეთების წინაშე იყო.

თამარაშვილმა დასწერა პირველი წერილი და გამოაქვეყნა 1893 წ. ჰარიუში ფრანგულ გაზეთში La Croix ქართველ კათოლიკობის არსებობაზე და ამითი გააფაღშივა სომეხ-კათოლიკეს სარუნ- ხიანის წერილები, რომელიც იბუჭებოდა რუ უ- ჯად „თბილისის ლისტოკში“ და „ხოგოე ვრე- მამში“.

იტალიელ გაზეთებშიაც გამოაქვეყნა ცბიე- რება ჩვენ თანამეზობელ სომეხთა მწერლებისა. ამ- ნაირი ძვირფასის საბუთების ფურნალ-გაზეთების წაითსკის შემდეგ, დროად მატეცემულმა აღქსან- დრე ხასანაშვილმა სოქვა: „ქართველ კაცსაც შეს- დლება სხვა ენაზე ვრცელი თხზულების წკაათ.

თამარაშვილის ნაწარმ-ნაშრომნი წერალები შემდეგნი არიან:

1 პასუხი თბილისის ლისტაკსა და „ნთვლე ვრემია“-ში გამოქვეყნებულ წერილებზე სოქებ-კათოლიკეს სარუსნიანს ფრანგულათ.

2 ისტორია კათოლიკოზის ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან XX საუკუნემდე თბილისს 1902 წ. ქართულად.

3 თავის თავის დაცვა და განმარტება რომის კურიაში სომეხკათოლიკების დასმენის შესახებ. დაიბეჭდა ფრანგულათ

4 მასუხი სომხებ მწერლებს, თუ როგორ აფაღშოკებენ ევროპის ისტორიკოსთა სიტყვებს შესახებ ჩვენი საქართველოსა. დაიბეჭდა თბილისში 1904 წ.

5 ისტორიული აბოში ნასატი, გადმოკეთებული სურათები, მის მიერ აღმოჩენილი რომში და სხვა მონასტრთ ბიბლიოთეკებში.

6 ისტორია საქართველოს ეკლესიის დაწესებიდან დღემდე აღმოსავლეთ მთავრე ცნობება მოკვანილი საქართველოს ეტნოგრაფიიდან, გეოგრაფიიდან და ლიტერატურიდან. ეს წიგნი დაიბეჭდა რომში 1910 წ. აი ბატონებმა შჩომბაჩვენი უკვდავი ისტორიკოსის და გმირულად დაღუპული მიხეილ თამარაშვილისა

მ. თამარაშვილის ნაწარმ-ნაწარმოებმა აღმოაჩინა აგრეთვე ისეთი დიდძალი მასალა ქართული ისტორიისთვის გამოსადეგი და სასარგებლო, რომ კარც ერთი ქართველი ისტორიკოსი ვერ აუხვევს გვერდს მ. თამარაშვილის ნაწარმ ნაღვაწს.

დაიხ, შამა მიხეილ თამარაშვილის სიკვდილით ქართველმა ერმა დაკარგა მცოდნე და ბეჭითი ისტორიკოსი.

განსვენებული ჯერ კიდევ სიცოცხლეთ და შრომის სურვილით სავსე იყო და ამ მოკლე ხანში კიდევ უნდა გამოეტე დადი თხზულება საქართველოს მომავლით ისტორიის შესახებ მკრამ ადარ დასცადდა.

რომის სიცოცხეება ძალიან შეაწუხეს, ამისათვის მოისურვა ხუთმეტო დღით შესვენება, საზგარკოთ წაიღია სოფელ სანტა-შარინგელას თავის ერთგულ მღვდელ ბურმონაზონ აგვისტინესთან, სადაც ამჟამად ახალი წიგნის მასალას.

სექტემბრის თვის 2-ს საათის 11-ზე სანტა-შარინგელას საბანო სადგურზე დასეირნობდა მღ. მიხეილ მ. შრომისკრ აგვისტინესთან ერთად. უკანასკნელმა მიიღო ბრძანება ღირვეტორისაგან თვალთვლით ედევნებია, რომ იმ დღეს მოწაფეთავაზი ახალი შესულიყენენ ზღვაში საბანებლად, რადგან ზღვა ღელავდა და ზვირთი ზვირთს ასკლებოდა. ამ დროს შიისმა ზღვაში საბანოდ შესული ერთი ახალგაზდა რომელი მუშის ხმა: „მიშველეთ გიხრბობი“! ის საბანოდ დაწინულად დგოღს გასცილებოდა და იხრბობდა. კანთმეფარეობით შემკულ მ. აგვისტინეს გულმა გერ გაუძლო ამ შემზარავ ხმას და მის მისაშველებლად შეყარდა აღელვებულ ზღვაში. მას მაჰყვას მღ. მიხეილ თამარაშვილი. გააზო გაშმაგებული ზღვის ზვირთნი. შეიქმნა ირგვლივი თავზარდამცემი ჟივილ-სივილ-ხმაურობა, დაფაცურდნენ მშველელი შენავენი, გადაარჩინეს მუშა ხელოსანი, შემდეგ მაეშველნენ მღვდლებს მაგრამ აშოდ. გაშმაგებულმა ზღვამ არ დაიშალა თავისი. ზვირთი ზვირთს მაყოლა, ამით დაეცა სიკვდილის დადი თამარაშვილის გულს გამასაღმა სამუდამოდ ამ ქვეყნისაგან, მსოფლი მიხეილის უსულო კკამი გამოკლიჯეს შენაკვთ ზვირთთა მრისხანებას, დაჭირეს და ზღვის ნაშირას გამოიტანეს და დიდი ჰატოვისცემით დაკრძალეს რომში. აი ამ მოულოდნელმა შემთხვევამ დაუმოტა გიგანტიურად აღმოცენებული ყვავილი იმ ქვეყანას, რომელიც უნდა დამტკბარიყო მისი ნყოფით.

მიხეილ თამარაშვილი არის მაკვლითი შიროვნული შრომისა. შირნათლად გვიხატავს და გვიბატოცებს რომ Labor improbus omnia vincit ბეჭითი გულწრფელი შრომა უოველიყვს დაამარცხებს, გამარჯვებული გამოვს ცხოვრებაში. ჩვენც ჯერ არს თვალთ აჯახილეთ, ენერგიულათ ვიშრომთ, შამა შამათა უმეტრებას, უურწავდებულებას მოვშორდეთ, დავთმოთ რაც ავია, სადაღატო ქვეყნისა და ერისა. შევითვისოთ სათნო სყოფელი თვისება-განვითარება, რითაც შეგვეძლება დიდ სულავანა მამულიშვილობა გამოუჩინოთ ჩვენ სუყარელს სამშობლს.

ამის მოკვადენი ვართ დღეინდელი ქართველობა განურჩევლათ ხარისხისა და წოდებისა.

ჩვენი წარსულის ისტორიის ძეგს კვლევით განვიმსწავლებთ სულს. ნათლად დაგინახავთ, რომ ჩვენ გვეოღავა ქების ღირსნი მამა მამანი და დიდ გულგანს საზოგადოების კეთილდღეობის თავსახურად გვიჩვენებენ.

აი ამ გმირთა წაბადებით ჩვენშიაღ ადმონტების სიუფარული, სამშობლოს ტრფიალი და ჩვენი შრომა იქნება ღირსი გუნდრუკი საქართველოს სამსხვერპლისა.

სწორეთ ამით პატივს ვცემთ იმ მარხვას, რომელსაც დღეს ვსტირობთ.

კათოლიკეთა მღვდელი პაპაძე.

რას გვწერენ?

ჯეიმო იშვირეთი. ბოსლევის სამრევლო-საც შეექმნა საძებრად მღვდელი! ჰქმნეს ყრილობა ერისა, მობრძანდნენ მ. ბლაღოჩინი და ბოქაული. დადგეს ყუთი და უნდა ეყარათ კენჭი რამოდენიმე კანდიდატებისათვის. მათ შორის თავგამოდებული და ყურადღების ღირსი იყვენ ორი: ერთი ამავე სოფლის მღვდლად მყოფის, ახლა ს. აქარის და შორაპნის ოლქში ეგრეთვე ახლად არჩეული, ბლაღოჩინი მ. სუხიაშვილის, ახლად ჯვარ დაწერილი ქვისლი ბ. ჭულუხაძე და მეორე ამავე ბოსლევში (მ. სუხიაშვილის მოსელამდე) ყოფილის მღვდლის მ. ფერაძის შვილი ბ. ფერაძე. კენჭი ასარჩევი მეტი ამოუვიდა ფერაძეს, ნაკლები ჭულუხაძეს. ეს მამა ბლაღოჩინმა იუკადრისა, როგორც მე, ბლაღოჩინს, კეადრეს და ჩემი ქვისლი არ აირჩიესო, ჰკრა წიხლი სტოლსა და სკამს, როგორც სთქვეს, და იჯმნა და უკუნ იქცა მუნიდან, ე. ი. მდაბიურად რომ ვსთქვათ, კრება შესწყვიტა და არჩევნები აღარ მოხდა, გადაიდგა სხვა დროისათვის.

მეორე დანიშნულ ვადაზედ გიახლათ, ახლად იგიც ბლაღოჩინის თანაშემწედ არჩეული, გველესიანი (1907 წ. მ. გველესიანი იყო ბლაღოჩინის დეკ. დ. ღამბაშიძის თანაშემწე, ამ დროიდან გამოკვალეს და მხოლოდ წელს „გაბედნიერდა“ და კვლავ იგდო ხელში „პო-

პოშნიკის პორტფელი“). სანამ ამ მეორე კრების შესახებ ვიტყოდეთ რამეს, საქიროა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. როდესაც პირველ არჩევნების დროს სასწორი მ. ფერაძისაკენ გადაიხარა, მ. ბლაღოჩინი, რასაკვ რველია, როგორც ზემოთაც მოცინსენიეთ, გაცაწყურა თავის ქვეშევრდომ მღ. ვ. ფერაძეზე, მაგრამ მ. ფერაძემაც აღარ დაუთმო და უთხრა: „რა გული მოგდის, ბლაღოჩინად მე ამოვირჩიე და გაჩუმდი თორემ მე ვიცი... არჩეულსა და ამრჩეველს შორის „შავმა კატამ გაიარა“, რომ იტყვიან...

ღიახ მეორე არჩევანზე კვლავ ბურთი და მოედანი მ. ფერაძეს დარჩა. ე. ი. არჩეულ იქმნა უმეტესის ხმით. ყ.-დ სამღვდლო რომელს დანიშნავს მღვდლად ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ სამწუხარო და სავალალო კი არის რომ მღვდლობის მიღება ასე „სამუშტ-კრივია“ და საცოდავი ხალხი ვის ანაბარა რჩება?..

ბ.

ბერის დღიურიდან.

თ ა ვ ი ს ც ნ ო ზ ა

ადამიანი ყველაფერს უფრო ადვილად შეეცნობება ვიდრე თავის თავს, — თავის სულიერ მდგომარეობას. ადვილია იმ საგნის შესწავლა, რომლის ნიადაგი ერთ-ბუნებურ კანონზეა დამოკიდებული, ესრეთ რომელ, თუ ერთხელ მისი კანონების საიდუმლო ძალები შეიგნო და შეისწავლა კაცმა, მერე არ სჭირია იმის შესახებ არავითარი დამატებითი შრომა, რადგან უცვლელია ბუნების წეს-რიგთა დებულებანი. ხოლო თავის ცნობა და მისი ბუნებურ ორბარისხოვან ნიშნელობათა გარჩევა და ზედ მიწევნით მათ-მიერ მოვლინებებით შესწავლა, დაუმთავრებელი რჩება მარადის და თითქო სულ საანბანოდ ხდება ვაჭება მის მიმდინარეობისა, რადგან მისი ნიადაგი უმტკიცია და მარადის თავისუფლების ფრთებით ხან ქვესკნელში და ხან ზეცაში დანავარდობს და

ერთ-სამარადისო კანონთა შეზღუდვას არ ეკუთვნის, რომლით დაამთავრო მისი შესწავლა და დამყარდეს ერთ-ნიადაგზე.

შეცნიერები, რასაც ქვეშეპირებით შეისწავლიან გარეშე საგნების შესახებ იგი მათ მტკიცედ უპყრიათ და მის ნიადაგზე დამყარებული თანდათანობისკენ აღიან.

შეისწავლა და დაამთავრა მხატვარმან მხატრობა და იგი უცვლელად იცის და ეცოდინება მას სიკოცხლეში. დამთავრა აკადემია, — გინა უნივერსიტეტი მოსწავლემ და იგი წინ სვლას ავითარებს, თორემ უკან აღარ იხევა და ასე როდია აღამინის სულიერ მდგომარეობის შესწავლის საქმე.

„განვიცადე თავი ჩემი და დამიკვირდა“. — ამბობს ბრძენი—წინასწარმეტყველი დავით. აღამიანზე უსაკვირველესი არსთა შორის არაფერი გამოჩენილა; — თუმცა პატარა არსებთა გვამით აღამიანი, მაგრამ მთელი ცა და ქვეყნის არსებულ გვამთა ნაწილები აღამიანში საიდუმლოებით არსებობს. ყველა ის მოვლენანი, რაც ხდება ცა და ქვეყნის მოძრაობაში, უნაკლულად იგივეობა ხდება, ბუნებურ წეს კანონთა დამოკიდებულებით აღამიანში. მაგრამ არა ვითარცა ვარსკვლავ, მზეთა და პლანეტთა გვარად ოდენ, ვითარ იგი ბუნების კანონთა შედეგში კრული გარდაუხდომელად, უგრძობელად და შეუწყუხებელად, არამედ ფრიად რთულად და განსხვავებულად, მით რომ ყოველი ესე ხილრლ არსთა ნაწილთ მოვლენანი უგრძობელად როდი შედეგობენ, ვითარცა ხდება აღამიანის გარშემო ციურ მნათობთა შორის, არამედ შედეგნი თავის ნივთიერ ბუნების კანონში კრულებითია—გულის საგრძნობლობით და ამ დროს გონებაც ცალკე მსჯელობს და თავისუფლების სამეფოში ნივთიერ მოთხოვნილებათა შედეგებში შებრძოლება უხდება იმ ნაწილებში, რაც მას არ მოეწონება და უკუაგდება მათ. ესრედ ამ ორთა შორის ხან მწუხარებაშია და ხან სიხარულში, — ხან ბედნიერებას გრძობს, ხან უბედურებას, — ხან ქვესკნელში აზრთა სიბნელით ვარდება, .. ხან აზრთა წმინდაობით ღეთიურ

სუფ ვაშია. — ხან ძლიერია და ისე ძლიერია რომ ვითომ სულიერ ძალებში მისი მრე ან და მძლეველი არა გონია, თუ რამე იქნება და ამ დროს დავით წინასწარმეტყველის სიტყვებში თვითცაპოებს ნუგეშს და ამბობს: „ესთქუ განგებულებასა ჩემსა არა შევიძრა მე უკუნისამდე“. მაგრამ ხან ისეთი უიმედოა თავის ძალისა, რომ სრულიად არა სწამს თავისი ძლიერება სიძტიცე და ისევე დავითის სიტყვებს უერთებს თავის გულს ოხვრას და მწუხარებით იტყვის: „ესთქუ განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ განმგდებულ ვარ მე პირისაგან უფლისა“. მკითხველო, მიაკვირეთ ყურადღება ამ ორ ლექსის შინაარსს და გულისხმა ვყოთ თუ რად პირველში იტყვის: „ესთქუ განგებულებასა ჩემსა“ — ო. ხოლო მეორეში: „ესთქუ განკვირვებასა ჩემსა“ — ო. ყველა-სათვის ცხადი უნდა იყოს, რომ დავით წინასწარმეტყველის მიერ თქმული ზემო მოყვანილ სიტყვები დაუკვირვებელად უბრალო შემთხვევით ნახროლი როდია, არამედ თითოეული ღრმა სააზრო შემთხვევის შედეგია. ე.ი. პირველი ეკუთვნის იმ ძალ მოხილ დროს, როცა მან შინაგან განგება ჰყო და მტკიცედ ეგონა თავისი განგება. ხოლო მეორე იმ დროს ეკუთვნის, როცა შთავარდა სულიერ ვნებებში და მოაგონდა მისი უძლეველ სიტყვებით თავის დაიმედება. შერცხვა მწარედ დაღონდა რამეთუ ხედავს მის შორის თუ ვითარ შეიძრა მისი განგებულ შენობათა კედლები, დაირღვა და შეიმუსრა... ასეთმა საოცარმა ცვლილებამ განკვირვებაში ჩააგდო იგი და დაღონებულმა უნუგეშომ გულისა სიღრმიდან აღმოიხვრა შემდეგი: „ესთქუ განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ განმგდებულ ვარ მე პირისაგან უფლისა“. აი უქვეშეპირთესი ფაქტი სააღამიანო შინაარსის შემეტყვნების შესახებ, რომ მისი შემეტყვნება თავისადმი უმტკიცოა, უნიადაგოა და არა დასანდობი. კიდევ ამისთვის ესთქვი ზემო, რომ მარად საანბანოა აღამიანისთვის თავის სულიერ ძალთა გაცნობის შესწავლა.

ასეთ განსაცდელშია ჩვენი სულიერი მდგომარეობა, რომელსაც არა ყოველნი ცნობენ და ვერც იცნობენ, მით რომ ანგარიშს

არ აღწევს მათ მოქმედებას და ცხოვრებაში აზრ დაფანტულებით-გონება დამძიმებულნი, ბნელ ნისლში ხვეულ არიან. ვერვინ განიცდის ვარსკლავთ მშვენიერ ნათლოვანებას და მის წყვილიაღში, თუ არ არის ცა მოწმენდილი და შავ ღრუბელით — ვინა ნისლთა სიხშოებით აღვსილია ჰაერი. აგრეთვე ვერ ვინ განიცდის თავის შინაგან ცაზე რა ხდება და სულიერ ვარსკლავთ მშვენიერებას, რომელ არს ნათელ ლამპარი გულის ხმის ყოფისა, ვერავინ დაინახავს, თუ მხოლოდ პირუტყულ აზრით დანთქმულია ცხოვრების გეოგრაფიაში. რამეთუ მაღლი ღვთისა — რომელ არს ლამპარი გულის ხმის ყოფისა დაუთრგუნავს და ყოვლადვე დაუფარავს ხარკის განებიერებით ნებსთა სიხშოების ნისლოვანებას.

აიღეთ მაგალითი შემდეგი: შენ ზიხარ ოთახში, შენ შინ ხედავ სუფთა ჰაერს, ვერ შეგინიშნავს ეს ჰაერი თუ რამე თვალ უჩინო წვრილ ნაწილებით გავსებულია. და ამ დროს სარკმელიდან შემოაშუქა მზემან თავისი ნათელი სხივი და ვითარცა ცის სარტყელა გაერთყა ოთახის ჰაერში, რაშიაც ხედავ საოცრად უანგარიშო წვრილ ნაწილებს ნაწილთ გროვას, რომელნიც წინა უკმო დასეირნობენ ამ სხივზე; — დიან მხოლოდ ამ სხივში იხილვებიან და არა უსხივოთ დარჩენილ ოთახის ჰაერში.

ასე ვახლოვსთ ჩვენი შინაგან სულიერ მდგომარეობის საქმეც, თვინიერ ღვთის მადლის სხივ მოფენისა, რომელიც მოფენება აღმაშინს სულიერ კეთილ მოქმედებით, აზრის მყუდროებით და შინაგან ზნეობრივ მართვას გამგეობის დაკვირვებით, ვერვინ შეიგნებს თავის ნაკლულეფანებას, უღირს მოქმედებათა საზიზღრობას და ათას გვარ უზნეო წვრილმან თვისებებით მისი სულიერ ბნელ აზროვნების შეუმჩნეველ ცდომებს. ამის სინამდვილეს კიდევ შემდეგი ნიშნით დაგისაბუთებ: მსოფლიო ცხოვრების არეულ-დარეულ საქმე-ბოროტო მღელვარება მზგავსია დიდ ნაღვარე მდინარისა, ამ მდინარეში შთაყავით თასი, გაავსეთ მით და შთა-

ხედე თუ რამე დაინახოთ ვარდა მღვრიე წყლისა. შემდეგ დასდგით ეს თასი მაგიდაზე და მეორე ღვთის შთახედვით თასში, ნახეთ რომ წყალი დაწმენდილა, ტალახ მწვირც, რითაც არეულიყო ნაღვარევი მდინარე ქვეშ დაძრულა და წმინდა ანკარა წყალი ზეთ მოქცევია, რომელსა შინა შთახედვისთანავე თქვენი სახეც უბიოდ შიდ თასში დაინახეთ. ასეთთა საყვარელნო ძმანო ჩვენი ცხოვრების მამდინარეობაც, ვითარ არეულ-დარეულ ათას გვარ ამოო მოთხოვნილების მიერ აზრ-დაფანტულად ამღვრეულ გონებას არა აქვს წმინდა მართლ-მხედველობა და რასაკვირველია ასეთ პირობებში გამოცდება იგი შეგნება-შემცენებაში. ამისთვის არის ხმა ზეციერი სახიერ მამისა, რომ დაგვძახის საყვარელ შვილებს: „მოიცალეთ და გულისხმა ჰყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“. — ღმერთი ნათელ მცნიერებისა, — ღმერთი ზენარ სუფევით გონების განმობრწყნეებელი და თქვენი ტვირთ-მძიმე ცხოვრების, დაუსრულებელ ნეტარებით უკვლავ მყოფელი. და ასეთი უღიადესი საქმის შეამნად „მოიცალეთ“-ო, ამით ჩვენ ის არ გვინდასტქვათ, რამ ყოველმა დაუტეოს სოფელი და მოიცალოს დაყუდებით, ეს არც ღმერთსა ნებავს და არც მოსავალია ჩვენს ქვეყნში, არამედ ჩვენ განგაზრახებთ საყვარელ ძმებს, რომ ყველამ ჩაიხედოთ თქვენს სულიერ აზროვნების სარკეში, შემოიკრიბოთ ხანდისხან მაინც გონება ერთ-ორ-სამ საათში მყუდროდ და გაერთოთ წმინდა აზრებიან ფიქრებში და გაარჩიოთ თქვენს შინაარსში პირუტყვ-მხეცები, რომელნიც დათარეუბენ თავისუფლად თქვენი კუთვნილების მაღალ შობილების წინააღმდეგ დათურგუნად ღმერთ-მყოფელ ციურ თავისუფლებისა და გონიერების ნიჭით ღვთის მზგავსებისა, რათა არა საუკუნოდ გრცხვენოდენ, რომლისთვის ერთ ხმად ვიტყოდეთ: „შენ უფალს გესავეთ ნუ გვრცხვენებინ ჩვენ უკუნისამდე“

ალექსი ბერი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამდლიძე.
გამომცემელი, იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი .

სტამბა „ურმა“

— ღაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ
ღებულობს ეოველგვარ სასტამბო საქმ.
გებულებას: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს,
წიგნებს, ბროშურებს და ეოველგვარ მისა-
წვევ წერალებს: ქორწინებისას, ნათვლისას,
სამკვდრეობისას და სხვ. აგრეთვე კონტა-

რებისათვის სასაგარიშო წიგნებს და წიგნა-
კებს, კვიტანციებს, იარღიკებს, სადარბაზო
ბარათებს (ფიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწაულე-
ბლისათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმებს გასრულებთ სუფთად და თავის
დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდნ თვით
პატივცემულნი ზაკაზიკები.

ადრესი: ყვირილა სტამბა „ურმა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ეოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრებს. ასრულებს
დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასები ნახატების ღირებულებაზე და ზომასზე დამოკიდებული და ეოველ შემოსევებში
საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყვე-
ლას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატ-
ვრებს და მოიჯარადრებებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ
საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრებს პირობით ვღებულობთ, თუ მოწო-
ნებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვის ვა-
სრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ეოვლად
სამღვდელთა **ლეონიდას** ნდობით და გვაქვს მათი მუყაფებისაგან შესა-
ფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმიანობის“ რედაქცია, კახაკოვის ქუჩა № 17.

ბ ა ნ ც ხ ა ღ მ ე ბ ა

თბილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში და მოწამეთის მონასტერში იუილება არსიანდრიტის ნესტორის მიერ შედგენილ - გამაცემული წიგნები სასულიერო შინაარსისა:

- 1) კაიფას ვაჟი შვილი — 50 კ.
- 2) მესამე ოქრო — — — 5 კ.
- 3) გზა ცხოვრებისა — — 30 კ.
- 4) ძველ აღთქმის საღვთო ისტორია 50 კ.
- 5) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია 40 კ.
- 6) სიკვდილი მართლისა — — 10 კ.
- 7) ერთი ღამე აკალდამაში — 5 კ.
- 8) არა კაც კლა — — — 5 კ.
- 9) კარგი ყველგან კარგია — 10 კ.
- 10) ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი 15 კ.
- 11) ცოლ-ქმრობა (საღვთო წერილიდან — — — — 5 კ.
- 12) მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა — — 10 კ.

სამკითხველოებს და სასოფლო შოელებს, როგორც სამრევლო სსე სავროს, ნაღდ ფულზე ვინც გამოიწერს, უველა წიგნებს დაუთმობ ნახევარ ფასად. ხოლო წიგნის მაღაზიებს, რომელიც ნაღდ ფულზე გამოიწერენ, დაუთმობ 30%, ადრესი: **Черезъ Кутаисъ въ Мцамети. Архимандриту Нестору.** ვინც ისურვეს ჩემგან ჰარდაზიან გამოწერას, გსთხოვ ადრესი გარკვევით მოძწეროს.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იუილება:

კლიროვის უწევებები ახალი ფორმისა და უველა უწევებები (**ВЪДОМОСТИ**) წლიური საბლადოხინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „მშობის“ გამოცემა და ფულიც მას ეუთუნის. ფასი ბლანკებისა — რწუვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Кутаисъ, Правленіе релігіозно Просвѣтительнаго „братства“.**

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „მრმბა“ დაბე ვერიდაში. ● Типографія „Трудъ“ въ м. Квирилы